ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება № 50-107

“ 27 ” დეკემბერი 2024 წ.

ქ. თბილისი

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის №2-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და ,,ნორმატიული აქტების შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

შეტანილ იქნეს ცვლილება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის №2-1 დადგენილებაში (სსმ, ვებგვერდი: www.matsne.gov.ge, 19.07.2014წ., სარეგისტრაციო კოდი: 010250040.35.101.016001) და დადგენილების პირველი პუნქტით დამტკიცებული „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის“:

1) **მე-9 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„2. საკრებულოს თითოეული წევრის მიერ ცალკეული დავალებების შესრულებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების ზღვრული მოცულობა შეადგენს თვეში 5150 ლარს.

3. ხარჯების განსაზღვრა ხდება ამ თანხის ზღვრული მოცულობიდან:

ა) საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარეებს უფლება აქვთ ფრაქციის თითოეულ წევრს აუნაზღაურონ ფრაქციაში მუშაობისთვის გაწეული ხარჯი არაუმეტეს 1160 ლარისა, თანახმად ფორმა N1-ისა;

ბ) საკრებულოს კომისიების თავმჯდომარეებს უფლება აქვთ კომისიის თითოეულ წევრს აუნაზღაურონ შესაბამის კომისიაში მუშაობისთვის გაწეული ხარჯი არაუმეტეს 1330 ლარისა, თანახმად ფორმა N2-ისა;

გ) საკრებულოს წევრს, რომელიც არ არის გაერთიანებული არცერთ ფრაქციაში ყოველთვიურად, საკრებულოს უფლებამოსილების ფარგლებში პოლიტიკური საქმიანობის განხორციელების, მოსახლეობასთან შეხვედრებისა და სხვა აქტივობების განხორცილებისთვის აუნაზღაურდეს გაწეული ხარჯი, არაუმეტეს 1160 ლარის ოდენობით თანახმად ფორმა №3-ისა;

დ) დარჩენილი 1330 ლარის საკრებულოს წევრზე გაცემის უფლება აქვს საკრებულოს თავმჯდომარეს, საკრებულოს წევრის საკრებულოს სხდომებზე დასწრების, განსახილველ საკითხებში მონაწილეობისა და ცალკეული დავალებების შესრულებისთვის, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში.“

2) 15[6] მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. წარმომადგენლობის ფუნქციონირებისთვის ქ. თბილისის ბიუჯეტიდან საკრებულოსთვის განსაზღვრული ასიგნებების ფარგლებში ყოველთვიურად გამოიყოფა შემდეგი ოდენობის თანხები:

ა) სამგორის რაიონის მაჟორიტარული ოლქი – 25 000 (ოცდახუთი ათასი) ლარი;

ბ) ნაძალადევის რაიონის მაჟორიტარული ოლქი – 25 000 (ოცდახუთი ათასი) ლარი;

გ) გლდანის რაიონის მაჟორიტარული ოლქი – 25 000 (ოცდახუთი ათასი) ლარი;

დ) საბურთალოს რაიონის მაჟორიტარული ოლქი – 20 000 (ოცი ათასი) ლარი;

ე) ისნის რაიონის მაჟორიტარული ოლქი – 20 000 (ოცი ათასი) ლარი;

ვ) ვაკის რაიონის მაჟორიტარული ოლქი – 16 00 (თექვსმეტი ათასი) ლარი;

ზ) დიდუბის რაიონის მაჟორიტარული ოლქი – 16 00 (თექვსმეტი ათასი) ლარი;

თ) მთაწმინდის რაიონის მაჟორიტარული ოლქი – 10 000 (ათი ათასი) ლარი;

ი) კრწანისის რაიონის მაჟორიტარული ოლქი – 10 000 (ათი ათასი) ლარი;

კ) ჩუღურეთის რაიონის მაჟორიტარული ოლქი – 10 000 (ათი ათასი) ლარი.”

მუხლი 2.

დადგენილება ძალაშია 2025 წლის 1 იანვრიდან.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე